საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №128/ნ

2024 წლის 2 აგვისტო

ქ.თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს, მისი აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 27 აპრილის №28/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს, მისი აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 27 აპრილის №28/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 28/04/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010020000.22.022.018283) პირველი მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი (ქართული ვერსია) (დანართი №1) და ,,ა[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი (ინგლისური ვერსია) (დანართი №1[1]) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის
მინისტრი **გიორგი ამილახვარი**